ინდოეთისა და პაკისტანის კონფლიქტი - დასასრულის პერსპექტივები 70 წლის შემდეგ

თინათინ ნონიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თინათინ ნონიაშვილი

24.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ინდოეთისა და პაკისტანის დაპირისპირებას, რომელიც თითქმის სამოცდაათი წელია, გრძელდება - ქაშმირის კონფლიქტს და მისი მოგვარების პერსპექტივას. თვისებრივი კვლევისა და დისკურს ანალიზის გამოყენებით ნაშრომში ვცდილობ, დაპირისპირების ისტორიისა და მისი გამომწვევი მიზეზების მიმოხილვასა და ახლებურად გააზრებას, არსებული ვითარების გაანალიზებას და კონფლიქტის განვითარების სამომავლო სცენარზე მსჯელობას.

წარმოდგენილი კვლევით ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობა სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომის ერთ-ერთი თეორიის - რელიგიისა და ეთნიკურობის ურთიერთკავშირის თეორიის ჭრილშია განხილული, ვინაიდან ის ზუსტად ასახავს ამ კონფლიქტის არსს.

ნაშრომი სამი თავისგან შედგება. პირველ მათგანში წარმოდგენილია ქაშმირის კონფლიქტის მოკლე ისტორიული ექსკურსი. მეორე თავი ეხება დღეს არსებულ ვითარებას და ცდილობს, თანამედროვე გადასახედიდან განიხილოს დაპირისპირების მიზეზები, ასევე - მკითხველებს გააცნოს მხარეთა შეხედულებები და პოზიციები. მესამე თავში მოცემულია შედარება სხვა კონფლიქტებთან და საუბარია ინდოეთისა და პაკისტანის თანამშრომლობაზე. ბოლო ნაწილი კი მთლიანად ეთმობა ქაშმირის კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებას, სხვადასხვა მკვლევართა მიერ შემოთავაზებული ვარიანტების განხილვასა და ორი ქვეყნის ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევა. ასევე მოცემულია პასუხები ძირითად საკვლევ კითხვებზე და ჰიპოთეზის შედეგი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინდოეთი, პაკისტანი, ქაშმირი, კონფლიქტის მართვა, თანამშრომლობა.

Abstract

The bellow given study explores controversy between India and Pakistan continuing for seventy years – Kashmir conflict and its resolution perspective. In the basis of qualitative research and discourse analysis I have tried to review and consider the history of the dispute and its reasons in a new way, to analyze the current situation and discuss the future scenario of the conflict development.

The present research discusses relationship between India and Pakistan within one of the theories of social-constructivist approach – theory of interconnection of religion and ethnicity, because it fully describes the essence of this conflict.

The study is composed of three chapters. The first one presents a short historical review of Kashmir conflict. The second chapter concerns modern situation and tries to clear up the reasons of the dispute from today's perspective and also – to let readers get information about considerations and positions of the parties. In the third chapter there is given a comparison with other conflicts and is discussed issue of collaboration between India and Pakistan. The last part fully aims to find some ways for Kashmir conflict resolution, to discuss different ideas given by various researchers and the future perspectives of two countries' relationship.

The final part of the study sums up the presented research. There is also given answers for the main research questions and a result for the hypothesis.

Key words: India, Pakistan, Kashmir, conflict management, collaboration.

მადლობა

წარმოდგენილი ნაშრომის მომზადება ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის - პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბ-ნი გიორგი სანიკიძის დახმარება. მან აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში არაერთი საჭირო და სასარგებლო რჩევა მომცა, რაც გამომადგა და რამაც გააადვილა ჩემს მიერ არჩეული საკითხის შესწავლა. აქედან გამომდინარე, მსურს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მას გაწეული შრომისა და დახმარებისათვის.